ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № W-36

ქ. თბილისი 08 ოქტომბერი 2015 წელი

ერთის მხრივ, **შპს „საქართველოს ფოსტა“** წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის გრიგოლ მატუაშვილის სახით, შემდგომში "შემსყიდველი'' და მეორეს მხრივ, **შპს „დანი 2012“** წარმოდგენილი მისი დირექტორის ბერუჩა ლუხუტაშვილის სახით, შემდგომში "მიმწოდებელი'', გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1.შესყიდვის ობიექტი რესტორნის მომსახურეობა-(CPV კოდი: 55300000)
1.2 2 შესყიდვის საგანს წარმოადგენს-2015 წლის 08 ოქტომბრიდან 2015 წლის 09 ოქტომბრის ჩათლით ლანჩი 10 (ათი) პერსონაზე.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების სავარაუდო ჯამური ღირებულებაა **2000.00 (ორიათასი)** ლარი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების, მათ შორის დღგ-ს ჩათვლით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორების გზით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ „მიმწოდებლის“ საბანკო რეკვიზიტებზე.
3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, მისი წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შპს ,,საქართველოს ფოსტას“ პროტოკოლის სამსახურის უფროსი ეკატერინე ხვადაგიანი.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1. მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. თბილისი, ცაბაძის #2; რესტორანი „ქართული სახლი“.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
6.3. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს მომსახურება იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.
6.4. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებათა კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება;
6.5. თითოეული მხარე პასუხს აგებს მეორე მხარისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანისათვის, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. დაუძლეველი ძალა

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 09 ნოემბრის ჩათვლით.

11. სხვა პირობები

11.1. ყველა იმ საკითხის რეგულირების მიზნით, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები სარგებლობენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
11.2. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
11.3. წინამდებარე ხელშერკულება შედგენილია ქართულ ენაზე სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს“, ხოლო ორი ეგზემპლარი „შემსყიდველს“

12. მხარეთა რეკვიზიტები:

“შემსყიდველი“
შპს ,,საქართველოს ფოსტა“
მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი #2
ს/კ 203836233
ბანკი: სს “საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE13BG0000000123286800

გენერალური დირექტორის
პირველი მოადგილე
გრიგოლ მატუაშვილი

“მიმწოდებელი“
შპს „დანი 2012“
მისამართი:ქ.თბილისი,ცაბაძის #2
ს/კ 404419704
ბანკი: სს „ბაზის ბანკი“
ბანკის კოდი: CBASGE22
ა/ა **GE92BS0000000060736318**

დირექტორი

ბერუჩა ლუხუტაშვილი

DANI 2012 LTD
საქართველო
შპს
დანი 2012
GEORGIA
404419704